

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი სოფიო მუჯირი მოითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 29 აგვისტოს №1808/03 ბრძანების ბათილად ცნობას, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „BIOCAD” უარი ეთქვა მე-5 კლასის განცხადებული საქონლის მიმართ რეგისტრაციაზე და განცხადებული სასაქონლო ნიშნის „BIOCAD” რეგისტრაციას განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვისათვის.

აპელანტი აღნიშნავს, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდებიან როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები ორივე შესრულებულია ლათინური შრიფტით, განცხადებულ ნიშანში გამოყენებულია მხოლოდ მთავრული ასოები და ნიშანი მომხმარებლის მიმართ აღიქმება როგორც ერთიანი სიტყვა „BIOCAD”, მაშინ როდესაც დაპირისპირებული ნიშანი ძირითადად შესრულებულია პატარა ასოებით, ნიშანის დასაწყისში და შუაში გამოყენებულია ორი დიდია სო, რითიც ნიშანი ფაქტობრივად ორ ნაწილადაა დაყოფილი - „Bio” და „Card”, შესაბამისად, ნიშანი მომხმარებლის მიერ აღიქმება, როგორც ორი გაერთიანებული სიტყვა, რაც ქმნის სრულიად განსხვავებულ შთაბეჭდილებას. ნიშნები ასევე, განსხვავდებიან ფონეტიკურადაც. კერძოდ, განცხადებული ნიშანი გამოითქმის, როგორც „ბიოკადი”, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი, როგორც „ბიოკარდი”. აპელანტის განცხადებით, წინა ნუნისმიერი ნარნარა თანხმოვანი ბგერის „რ” არსებობა დაპირისპირებულ ნიშანში მნიშვნელოვნად განასხვავებს მის უღერადობას განცხადებული ნიშნის უღერადობისაგან, რადგან „რ” ძალიან გამოკვეთილი, მკვეთრი თანხმოვანია და წარმოთქმისას აშკარად ისმის მისი არსებობა. აპელანტი ასევე ყურადღებას ამახვილებს ნიშნების სემანტიკურ დატვირთვაზე. რაც შეეხება დაპირისპირებულ ნიშანს, იგი ორი ელემენტისაგან შედგება „Bio” და „Card”. „Bio” წარმოადგენს სიტყვის „ბიოლოგიური” შემოკლებას, ხოლო „Card” ნიშნავს „ბარათი, „საბუთი”. ამგვარად, აპელანტის აზრით, დაპირისპირებული ნიშანი მომხმარებლის მიერ სემანტიკურად აღიქმება როგორც „ბიოლოგიური ბარათი”, „ბიოლოგიური საბუთი”, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ნიშნებს შორის სხვაობას. ამრიგად, ერთობლიობაში ნიშნები მომხმარებლის მიერ აღიქმება სრულიად განსხვავებულად, რაც გამორიცხავს მათი აღრვევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის

შესაძლებლობას საქონლის მწარმოებლის მიმართ.

აპელანტი ასევე მიუთითებს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიდგომა ისეთ შემთხვევებთან დაკავშირებით, როდესაც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებიდან ერთს აქვს სემანტიკური მნიშვნელობა, ხოლო მეორე ფანტაზიური სიტყვაა. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, თუ ორი დაპირისპირებული ნიშნიდან ერთ-ერთს აქვს სემანტიკური მნიშვნელობა, ხოლო მეორე ფანტაზიური სიტყვაა, ნიშნებს შორის უმნიშვნელო განსხვავებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ მოხდეს ორივე ნიშნის რეგისტრაცია და მათი თანაარსებობა ერთ სასაქონლო ბაზარზე (მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: Case T-292/01 paragraph 54; C0361/06 paragraph 56.).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აპელანტი აღნიშნავს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია იმდენად რომ ერთ სასაქონლო ბაზარზე მათი თანაარსებობის შემთხვევაში არ მოხდება მათი აღრევა.

აპელანტის განცხადებით, სიტყვიერი აღნიშვნა „BIOCAD“ წარმოადგენს აპელანტის საფირმო სახელწოდებას. მისი აზრით, საქართველოში პრაქტიკულად დაუცველია კომპანიების (და მათ შორის აპელანტის) განსაკუთრებული უფლებები საფირმო სახელწოდებაზე და ერთადერთი საშუალება მისი დაცვისა, არის საფირმო სახელწოდების სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია, მაშინ როდესაც პარიზის კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, საფირმო სახელწოდება (სავაჭრო სახელი) დაცული უნდა იყოს კავშირის ყველა ქვეყანაში რეგისტრაციის აუცილებლობის გარეშე, მიუხედავად იმისა წარმოადგენს თუ არა ის სასაქონლო ნიშნის ნაწილს. რეგისტრაციაზე უარი, აპელანტის აზრით, ზღუდავს მის უფლებას კომერციულ საქმიანობაში გამოიყენოს საკუთარი საფირმო სახელწოდება და იმავდროულად აუკრძალოს მესამე პირებს მისი საფირმო სახელწოდების გამოყენება, რისი ინტერესიც აპელანტს ბუნებრივად გააჩნია. საქართველოში შექმნილი ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, აპელანტის მიერ საფირმო სახელწოდების (სავაჭრო სახელის) დაცვის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს მისი რეგისტრაცია სასაქონლო ნიშნად, რაც წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების კიდევ ერთ არგუმენტს.

აპელანტის განცხადებით, აპელანტი კომპანია 2012 წლის მარტიდან აწვდის მის პროდუქციას ქართულ ბაზარს და ის უკვე ცნობილია ქართველი მომხმარებლისათვის, ვინაიდან წამლის შეფუთვაზე და გამოყენების ინსტრუქციაში მითითებულია მედიკამენტის დამამზადებლის დასახელება „BIOCAD“. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ განცხადებული ნიშნის რეგისტრაცია მოთხოვნილია მე-5

კლასის საქონლის ჩამონათვლისათვის. კერძოდ, საქმე ეხება ფარმაცევტულ პრეპარატებსა და მედიკამენტებს. აპელანტის განცხადებით, ზოგადად მედიკამენტების შექმნისას მომხმარებელი გაცილებით უფრო ყურადღებიანია და კრიტიკულია, ვიდრე სხვა სახის საქონლის შერჩევისას, რადგან საქმე ეხება მის ჯანმრთელობას, გარდა ამისა, ფარმაცევტული პრეპარატების შექმნა, როგორც წესი, ხდება ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტის საფუძველზე, რაც გამორიცხავს ერთი პრეპარატის ნაცვლად სხვა პრეპარატის შექმნას.

აპელანტი ასევე აღნიშნავს, რომ დაპირისპირებული ნიშანი არ გამოიყენება მისი მფლობელის მიმართ. შპს „ეი-ბი-სი ფარმასიუტიკალს“ ოფიციალურ საიტზე მოცემულია მათ მიერ გავრცელებული საქონლის სრული ჩამონათვალი, რომელშიც არ არის შესული ნიშანი „BioCard“. მოცემული საიტიდან, ასევე ჩანს, რომ დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი კომპანიის საქმიანობა საქონლის დისტრიბუცია და არა მისი წარმოება, ხოლო ნიშნით „BioCard“ მარკირებულ პროდუქციას არ აწარმოებს და ასევე არ ეწევა მის დისტრიბუციას. დაპირისპირებული ნიშნის სავაჭრო ბრუნვაში გამოუყენებლობა თავისთავად გამორიცხავს მომხმარებლის მიერ მის აღრევას განცხადებულ ნიშანთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 29 აგვისტოს №1808/03 ბრძანების ბათილად ცნობას და განცხადებული ნიშნისათვის „BIOCAD“ (IR1129728) დაცვის მინიჭებას განცხადებული საქონლისა და მომსახურების სრული ჩამონათვლის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში უნდა დარჩეს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 29 აგვისტოს №1808/03 ბრძანება.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.“

კოლეგია მიიჩნევს, რომ განცხადებული ნიშანი „BIOCAD“ და

დაპირისპირებული ნიშანი „BioCard” აღრევაძდე მსგავსია. განცხადებული ნიშანი ისევე როგორც დაპირისპირებული ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით. ნიშანი „BIOCAD” შედგება ექვსი ასოსაგან, ხოლო ნიშანი „BioCard” შეიდი ასოსაგან. იდენტურია ნიშნების პირველი სამი ასო „BIO”/„Bio” და შესაბამისად იდენტურია ნიშნების საწყისი ნაწილი. ნიშნებს შორის განსხვავებულია მხოლოდ ერთი ასო „r”. კოლეგიის აზრით, მხოლოდ და მხოლოდ ერთი განსხვავებული ასო „r” არ სძენს ნიშნებს განმასხვავებლობას. განსაკუთრებით ცხადი ხდება ნიშნების მსგავსება მათი გამოთქმისას, ერთი გამოთქმის როგორც „ბიოკად”, ხოლო მეორე როგორც „ბიოკარდ”. ამდენად, კოლეგია არ დაეთანხმა აპელანტის არგუმენტს, რომ „წინა ნუნისმიერი ნარნარა” თანხმოვანი ბგერის „რ” არსებობა დაპირისპირებულ ნიშანში მნიშვნელოვნად განასხვავებს მის ელერადობას განცხადებული ნიშნის ერერადობისაგან. კოლეგიის აზრით, თანხმოვანი „რ” არ არის იმაზე მეტად გამოკვეთილი და მკვეთრი თანხმოვანი, ვიდრე ქართულ თუ ლათინურ ანბანში არსებული სხვა დანარჩენი თანხმოვანები. აღნიშნული არ გამოდგება ნიშნებს შორის არსებული ფონეტიკური მსგავსების გამაბათილებელ არგუმენტად. ნიშნები ასევე რეგისტრირდება ერთი და იმავე მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვლისათვის, მიუხედავად იმისა, რომ „ფარმაცევტული პრეპარატების” შექმნისას მომხმარებელი იჩენს განსაკუთრებულ სიფრთხილეს, იმდენად დიდია ნიშნებს შორის არსებული როგორც ვიზუალური ისე ფონეტიკური მსგავსება, რომ მომხმარებელი შეცდომაში იქნება შეყვანილი.

რაც შეეხება აპელანტის მითითებას, რომ დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი კომპანია შპს „ეი-ბი-სი ფარმასიუტიკალს” არ აწარმოებს მისი კუთვნილი ნიშნით ნიშანდებულ პროდუქციას, არ შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული, ვინაიდან დაპირისპირებული ნიშანი წარმოადგენს რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს და სწორედ ეს გახდა განცხადებული ნიშნისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნის ერთ სასაქონლო ბაზარზე თანაარსებობის პირობებში მოხდება მათი აღრევა. კოლეგია თვლის, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით დადგენილი განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. შესაბამისად, ძალაში უნდა დარჩეს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 29 აგვისტოს №1808/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებანი და იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ქლოუზდ ჯოინტ-სტოკ კომპანი „ბიოკად“ („Closed Joint-Stock Company „BIOCAD“) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის -2013 წლის 29 აგვისტოს №1808/03 ბრძანება.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში. (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

კოლეგიის თავმჯდომარე:

ი. გიქორაშვილი

წევრები:

ლ. ახოზაძე

მ. ბაკურაძე